დევიდ ლინჩის ვიზიტი საქართველოში

15.11.2017

გაზიარება
Facebook
0 Tweet

18 ნოემბერს, ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეწვევა დევიდ ლინჩი – ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი, პროდიუსერი, დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, მრავალი კინოფესტივალის გამარჯვებული, ისეთი ნამუშევრების ავტორი, როგორიცაა: „ტვინ პიქსი“, „მალჰოლანდ დრაივი“, „ლურჯი ხავერდი“... საქართველოს ასევე ეწვევა დევიდ ლინჩის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ბობ როთი.

დევიდ ლინჩის ფონდი (davidlynchfoundation.org) 2005 წელს აშშ-ში თავად დევიდ ლინჩის მიერ დაარსდა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში მუშაობს.

საქართველოში ვიზიტი დაკავშირებულია დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. ფონდის პრეზიდენტია რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე.

საქართველოში პირველი ვიზიტის დროს სახელგანთქმულ ამერიკელ რეჟისორს და მის გუნდს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ქვეყნის კულტურას, ისტორიას და ტრადიციებს; საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის პირველ პირებთან განიხილონ თანამშრომლობის შესაძლებლობა კულტურის, განათლების და მეცნიერების დარგში. შეხვდნენ ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. აგრეთვე იგეგმება დევიდ ლინჩის ფილმის ჩვენება და შეხვედრა მაყურებელთან, საჯარო ლექცია ტრანსცენდენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ.

DAVID LYNCH'S VISIT IN GEORGIA

The famous American film director, scriptwriter, musician, producer, one of the most famous representatives of the independent cinema, winner of many film festivals, the author of the works: "Twin Peaks", "Mulholland Drive", "Blue Velvet" - David Lynch will visit Georgia on the 18th of November in terms of the four-day visit. The Executive Director of David Lynch Foundation Bob Roth will also visit Georgia.

David Lynch Foundation (davidlynchfoundation.org) was founded in USA by David Lynch himself. The main branches are functioning in USA, Great Britain, France and Ukraine.

The visit in Georgia is related to the activities of David Lynch Foundation Caucasus branch, which was opened on the 25th of July, 2017 in Tbilisi and unites Georgia, Azerbaijan and Armenia. The president of the foundation is a famous film director and a musician, Giga Agladze.

During the first visit in Georgia the famous American film director and his team got acquainted to the culture, history and traditions of the country. They have discussed the possibilities of cooperation with the key persons of the Parliament and Government in the spheres of culture, education and science. They have met representatives of different social spheres in Georgia. Also David Lynch's film screening and a public lecture about Transcendental Meditation and its social role for the population will be held.